## თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

*დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.*

# წელიწადის დროები

გაზაფხულია. გარეთ კარგი ამინდია. მზე ანათებს და თბილა. რეზი და დედა საუბრობენ.

- გაზაფხული გიყვარს? - ეკითხება დედა რეზის.

- მე გაზაფხული მიყვარს. ამ დროს ბევრი ყვავილია. კარგი ამინდებია. ბალახი მწვანეა. ბევრი მარწყვია, - ამბობს რეზი.

- ზაფხული გიყვარს?

- ზაფხული ძალიან მიყვარს. სულ მზეა. სკოლა არ არის და ბევრს ვთამაშობ. მეგობრებთან ვერთობი. მდინარეში ვბანაობ.

- შემოდგომაზე რას იტყვი?

- მიყვარს შემოდგომა. ამ დროს ბევრი ხილია. ძალიან ბევრი ყურძენია. ახალი სასწავლო წელი იწყება.

- ზამთარი?

- ზამთარიც მიყვარს. ზამთარში თოვლი მოდის. ციგით ვსრიალებ. ახალი წელიც ძალიან მიყვარს. თოვლის პაპაც მოდის. მოკლედ, წელიწადის ყველა დრო მიყვარს.

---

*წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).*

**1. რას ვიგებთ პირველი წინადადებიდან?**

ა) რატომ საუბრობენ რეზი და დედა.
ბ) რატომ უყვარს რეზის გაზაფხული.
გ) წელიწადის რომელი დროა.


LIVEWORKSHEETS

**2. რატომ უყვარს რეზის გაზაფხული?**

ა) იმიტომ, რომ ბალახი მწვანეა და ბევრი მარწყვია.

ბ) იმიტომ, რომ ბევრი ხილია და სწავლა იწყება.

გ) იმიტომ, რომ მეგობრებთან ერთად ერთობა.

**3. რეზის ზაფხული ძალიან უყვარს, რადგან:**

ა) კარგი ამინდებია და ბალახი მწვანეა.

ბ) სკოლა არ არის და ბავშვები ერთობიან.

გ) ძალიან ბევრი ხილი და ყურძენია.

**4. სწავლა იწყება:**

ა) გაზაფხულზე. ბ) ზაფხულში. გ) შემოდგომაზე.

**5. რას აკეთებს რეზი ზამთარში?**

ა) მარწყვს კრეფს. ბ) მდინარეში ბანაობს. გ) ციგით სრიალებს.

**6. რა ხდება ზამთარში მნიშვნელოვანი?**

ა) ახალი სასწავლო წელი იწყება.

ბ) ახალი წელი დგება.

გ) ბავშვები ბევრს თამაშობენ.

**7. ტექსტის ბოლოს რეზი ამბობს, რომ:**

ა) ზამთარი თოვლის პაპის გამო უყვარს.

ბ) ზაფხულში ყველაზე კარგად ერთობა.

გ) ყველა დრო ძალიან უყვარს.

**8. ეს ტექსტი არის:**

ა) დიალოგი. ბ) ლექსი. გ) წერილი.



LIVEWORKSHEETS